დადგენილება:**დ-31. 312335610**
თარიღი:**22/12/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №30

2023 წლის 22 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილების (ვებგვერდი, 02/10/2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“-ში შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციით მე-3^1 პუნქტი:

„3^1. საბჭოს წევრის მიერ სხდომის ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეუწყდება საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი